



მ. ახვლედიანი

დანიელ ჰონგაძის აღგილი ოსური ენის შესწავლის ისტორიაში

დღემდე დანიელ ჰონგაძე ცნობილი იყო ოსური ენის შესწავლის ისტორიაში მხოლოდ როგორც ოსური ანდაზების შემკრები; სულ ჩაუწერია მას 123 ოსური ანდაზა, როგორც ეს ჩანს აკად. ა. შიტნერის მიერ გამოცემული „Осетинские тексты“-დან (СПБ, 1868), სადაც მოთავსებულია ეს ანდაზები (გვ. 5—13) ზოგიერთი შენიშვნებით (14—30). უკვე ესეც მნიშვნელოვანი წვლილია ოსური ენის შესწავლაში, მეტადრე იმ დროისათვის, როცა ოსური ენის კვლევა მხოლოდ იწყებოდა, შეგროვილი ენობრივი მასალა კი ძალიან მცირე იყო. მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, დანიელს გაცილებით მეტი გაუკეთებია სალიტერატურო ოსური ენის შექმნისათვის, ვიდრე ეს ცნობილი იყო აქამდე; და კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შედგომია: მას დაუწყია რუსულ-ოსურისა და ოსურ-რუსული ლექსიკონის შედგენა.

როგორც ჩანს, დანიელ ჰონგაძემ კარგად იცოდა ოსური ენა პრაქტიკულადაც და, რამდენად მის დროს შესაძლებელი იყო, გრამატიკულადაც. მის დროს უკვე ფარგმნილი იყო ოსურად რამდენიმე სასულიერო წიგნი, მათ შორის ზოგი დაბეჭდილია; აგრეთვე და განსაკუთრებით მას შეეძლო გასცნობოდა ოსური ენის აგებულობას მაშინ უკვე დაბეჭდილ (1844 წ. გერმანულად და რუსულადაც) აკად. Sjögren-ის ფუძემდებელ ოსური ენის გრამატიკას. არსებობდა აგრეთვე კლავროთისა და როზენის შრომებიც ოსური ენის შესახებ, მაგრამ დანიელი მათ, როგორც ჩანს, არ იცნობდა; ის ეყრდნობოდა მხოლოდ Sjögren-ს. არ ჩანს აგრეთვე, რომ იგი გასცნობოდეს წარს. საუკ. 20-იან წლების თარგმანებს ი. იალღუზიძისას, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ოსური ენის ისტორიის შესწავლისათვის¹⁾.

¹⁾ ი. ი. ჩიგინი „Zur Geschichte des Ossetischen“, II თბილისი, 1926.

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ამის გაცნობას შეეძლო სხვა მიმართულება მიეცა მისი მუშაობისათვის ოსური ენის შესწავლაში.

შეიძლება ითქვას: დანიელს რომ კიდევ რამდენიმე წელი მაინც ეცოცხლა და მშვენივრად დაწეებული საქმე დაესრულებინა; ოსური ენის შესწავლის საქმე დღეს უფრო მაღალ საფეხურზე იქნებოდა; მხედველობაში გვაქვს უკვე ხსენებული ლექსიკონი. მხოლოდ მხედველობაში გვაქვს შესაძლებელი იმ დიდი ინტერესის დაკმაყოფილება, რომელიც გამოიწვია ყველა ქვეყნის ირანისტთა შორის ოსურმა ენამ: საკავშ. მეცნიერებათა აკადემიამ ამ წლებში გამოსცა აკად. ვ. მილლერის ოსურ-რუსულ-გერმანული ლექსიკონი, პროფ. ა. ფრეიმანის რედაქციითა და დამატებებით. (Всеволод Ф. Миллер. Осетинско-русско-немецкий словарь, под редакцией и с дополнениями А.А. Фреймана).

ფ. მახარაძემ თავის ცნობილ წიგნში („დანიელ ქონქაძე და მისი დრო“, I გამოც. 1904 წ., III გამოც. 1929 წ.) აღნიშნა, რომ დ. ქონქაძეს 1) უთარგმნია ოსურად რამდენიმე საექლესიო წიგნი (გვ. 14), 2) დაუწვია რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენა (იქვე); სხვათა შორის, დ. ქონქაძემ თარგმნა კურთხევაინო. რომ ამით არ ამოიწურება დანიელის თარგმნითი მუშაობა, ეს ჩანს ფ. მახარაძის იმავე შრომიდან, მაგრამ, სახელდობრ, რომელი წიგნები თარგმნა დანიელმა, ძნელი გამოსარკვევია. საყურადღებოა ერთი რამ: ოსური კურთხევაინი დაიბეჭდა 1870 წ. მთარგმნელის მოუხსენებლობა; მაგრამ სწორედ დანიელის სიკვდილის შემდეგ პირველსავე წლებში (მაშასადამე, 1870 წლამდე) გამოიცა 6 საექლესიო წიგნი (1851—64) აგრეთვე მთარგმნელის მოუხსენებლობივ. თუ ეს წიგნები დანიელის ნათარგმნია, მას დიდი ღვაწლი მიუძღის ოსური სალიტერატურო ენის შექმნაში. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა სიძნელეთა გადალახვა მოუხდებოდა მას ასეთი რთული (დანიელისათვის სრულიად შეუფერებელი) შინაარსის წიგნების თარგმნისას მაშინ თითქოს უმწერლობო ენაზე. რაც შეეხება მეორეს (ე. ი. ლექსიკონს), მისი შედგენა დანიელს დაუწვია მეცნიერებათა აკადემიის წინადადებით, როგორც ეს ჩანს მისი კერძო წერილიდან; წინადადება მას მიუღია, მაგრამ შემდეგ უარი განუცხადებია (აღბათ, დაავადების გამო). ლექსიკონის წერა მას ყოველ შემთხვევაში დაუწვია, მაგრამ მესამე ასოც (B) ვერ გაუთავებია (ხელნაწერი ინახება საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში: H. Nos 181 (რვეულუბად) და 217 (ბარათებზე). მასალა ასე თუ ისე საყურადღებოა, და ოსურია ენის მკვლევარი მას გამოიყენებს, რადგანაც მასში მოცემულია რამდენიმე (სხვა ლექსიკონში) უცნობი სიტყვა; დანარჩენში კი მას მხოლოდ ის მიიშვებლობა ექნება, რომ გამოარკვევს დაახლოვებით მაინც, თუ რომელი წიგნები თარგმნა მან ოსურად.

როგორც ზემოთ ვთქვე, ოსური ენის შესწავლის ისტორიაში დანიელ კონქაძე ცნობილი იყო მხოლოდ როგორც ოსური ანდაზების ჩამწერი. მართლაც, აქ მან რეალური სარგებლობა მოუტანა ოსური ენის შესწავლას. ის ერთ-ერთი პიონერთაგანია ამ საქმეში. მასალა საინტერესოა როგორც ენობრივად, ისე ეთნოგრაფიულად. აღსანიშნავია, რომ ოსურ ბგერათა გადმოცემისას საერთოდ დანიელი ემყარება Sjǝgren-ის ანბანს, მაგრამ ზოგჯერ მას არ მისდევს და მართებულად კრიტიკულად ეპყრობა მაშინდელ ამ ერთადერთ ავტორიტეტს (ნ. შიფნერის დასახელებული წიგნი გვ. 5). როგორც დანიელის ანდერძიდან ჩანს, მას, ანდაზებს გარდა, ჰქონია სხვა მასალაც: თქმები („Пословицы и поговорки“, თუმცა შეიძლება ეს უკანასკნელები უკვე იგულისხმებიან ანდაზებში), ზღაპრები და „Записки о куртатинских осетинах“. ამთგან არც ერთი ცნობილი არაა დღემდე. განსაკუთრებით სამწუხაროა ამ უკანასკნელის (ქურთათელი ოსების შესახებ) დაკარგვა, სადაც ენობრივ მასალასთან, ცხადია, ეთნოგრაფიულიც იქნებოდა („Хотя изложения нет в них, но фактов много“-ო ამბობს, დანიელი თავის ანდერძში).

დიალექტალურად დანიელის ოსური წარმოადგენს სამხრეთ-ირონულს, რომელიც არსებითად იგივეა, რაც ჩრდილო-ირონული; ეს კი საფუძვლად დაედო ოსურ სალიტერატურო ენას¹⁾. დვალურს (ჯავა-კუდაროს დიალექტს) დანიელი ან არ იცნობს და ან განზრახ არ უწევს მას ანგარიშს, ვინაიდან მის დროს უკვე შექმნილი იყო ერთგვარი ტრადიცია სალიტერატურო ოსური ენისა ირონული (და არა დვალური) დიალექტის საფუძველზე.



ოსს

აიზალიროთაა



900001813112

¹⁾ იხ. ჩვენი „დვალური თუ სამხრეთ-ოსური? (ჩვენი მეცნიერება, № 3—4, 1925 წ.)